## საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზებული)

Nomination:
## Public interior (realized)

საუკეთესო ნომინანტი: **დიოგენე - წიგნის ახალი მაღაზია თბილისში**
მდებარეობა: **საქართველო**
ავტორი: **ალექსანდრე რამიშვილი**

The Best Nominee: **Diogene - New Bookstore in Tbilisi**
Location: **Georgia**
Author: **Alexandre Ramishvili**

















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:
## საზოგადოებრივი ინტერიერი (რეალიზებული)

Nomination:
## Public interior (realized)

საუკეთესო ნომინანტი: **შოურუმი Va Bene.**
მდებარეობა: **თბილისი**
ავტორები: **ნია მგალობლიშვილი, სოფიო შევარდნაძე. ია ლიპარტელიანი - Designbureau**

The Best Nominee: **Va Bene show room**
Location: **Tbilisi, Georgia**
Authors: **Nia MgalobliShvili, Sophie Shevardnadze, Ia Liparteliani - Designbureau**










პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:
**არქიტექტურული პროექტი (შენობა-ნაგებობა, კომპლექსი)**

Nomination:
**Architectural project (Building, Complex)**



საუკეთესო ნომინანტი: **Massar-ის ბავშვთა ცენტრი Discovery**
მდებარეობა: **დამასკო, სირია**
ავტორი: **არქიტექტურული ფირმა Henning Larsen Architects A/S.**

The Best Nominee: **The Massar Children's Discovery Centre.**
Location: **Damascus, Syria**
Authors: **Architecture Firm - Henning Larsen Architects A/S.**

















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:
**არქიტექტურული პროექტი (შენობა-ნაგებობა, კომპლექსი)**

Nomination:
**Architectural project (Building, Complex)**

საუკეთესო ნომინანტი: **მულტიფუნქციური ცენტრი**
მდებარეობა: **თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა.** ავტორი: **გიორგი გაბუნია**

The Best Nominee: **Multifunctional Centre**
Location: **University street, Tbilisi, Georgia.** Author: **Giorgi Gabunia**















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:
**არქიტექტურული პროექტი (შენობა-ნაგებობა, კომპლექსი)**

Nomination:
**Architectural project (Building, Complex)**

საუკეთესო ნომინანტი: **რუსთავის ავტოქალაქის რეკონსტრუქცია**
მდებარეობა: **საქართველო**
ავტორი: **გიორგი სულაბერიძე, კომპანია - არტსტუდიო პროექტი**

The Best Nominee: **Reconstruction of Rustavi Auto City**
Location: **Georgia**
Author: **Giorgi Sulaberidze. Artstudio Project Company**















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## ინტერიერის დიზაინ-პროექტი

Nomination:

## Interior Design project



საუკეთესო ნომინანტი: **ვერნი**
მდებარეობა: **თბილისი**
ავტორი: **ჯანო კალანდია**

The Best Nominee: **Vierny**
Location: **Tbilisi, Georgia**
Author: **Jano kalandia**

















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## ინტერიერის დიზაინ-პროექტი

Nomination:

## Interior Design project

საუკეთესო ნომინანტი: **კაფე-ბარი**
მდებარეობა: **თბილისი**
ავტორი: **ნინო ჯიქურაშვილი**

The Best Nominee: **Cafe-bar**
Location: **Tbilisi, Georgia**
Author: **Nino Jiqurashvili**













პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## ინტერიერის დიზაინ-პროექტი

Nomination:

## Interior Design project

საუკეთესო ნომინანტი: **პენტჰაუსი**
მდებარეობა: **ბათუმი, საქართველო**
ავტორი: **ნინო მოსეშვილი**

The Best Nominee: **Penthouse**
Location: **Batumi, Georgia**
Author: **Nino Moseshvili**













პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

**ლანდშაფტური არქიტექტურა (რეალიზებული)**

Nomination:

**Landscape architecture (realized)**



საუკეთესო ნომინანტი: **კერძო ბაღი**
მდებარეობა: **კაკლები, საქართველო**
ავტორი: **ნინო შენგელია**

The Best nominee: **Private Garden**
Location: **Kaklebi - Georgia**
Author: **Nino Shengelia**













პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## ლანდშაფტური არქიტექტურა (რეალიზებული)

Nomination:

## Landscape architecture (realized)

საუკეთესო ნომინანტი: **სახლის ეზო საირმის გორაზე**
მდებარეობა: **თბილისი**
ავტორი: **თენგიზ მახარაშვილი**

The Best Nominee: **Private garden of Residential house in Sairme mount**
Location: **Tbilisi, Georgia**
Author: **Tengiz Makharashvili**















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:
**სტუდენტური პროექტი**

Nomination:
**Student project**



საუკეთესო ნომინანტი: **მონადირის ქოხი**
მდებარეობა: **პირობითი**
ავტორი: **თენგიზ ბიჭინაშვილი**

The Best Nominee: **Hunter's Hut**
Location: **N/A**
Author: **Tengiz Bitchinasvhili**











პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## სტუდენტური პროექტი

Nomination:

## Student project

საუკეთესო ნომინანტი: **სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრი.** მდებარეობა: **ქ.ტოკიო**
ავტორი: **გიორგი ქურდიანი/უმცროსი/ - ბაკალავრიატის დიპლომანტი.**
ხელმძღვანელი: **მამუკა ზაალიშვილი**

The Best Nominee: **Medical Rehabilitation Center.** Location: **Tokyo**
Author: **Giorgi Kurdiani /Junior/ - Bachelor's diploma.**
Head of Diploma: **Mamuka Zaalishvili**





















პროფესიული ჟიური
International Professional Panel

ნომინაცია:

## სტუდენტური პროექტი

Nomination:

## Student project

საუკეთესო ნომინანტი: **კულტურული ცენტრი**
მდებარეობა: **თბილისის ზღვა**
ავტორი: **გიორგი პაპასკირი**

The Best Nominee: **Cultural Centre**
Location: **Tbilisi Sea, Georgia**
Author: **George Papaskiri**























ნომინაცია: **საუკეთესოდ განათებული ობიექტი**
საუკეთესო ნომინანტი: **სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი**
მდებარეობა: **საქართველო.** ავტორი: **შ.პ.ს.- ინდასტრი კომპანი. პროექტის ხელმძღვანელი გიორგი ჭკუასელი**

Nomination: **The Best illuminated object**
Best nominee: **Sataplia State Reserve.** Location: **Georgia**
Author: **Indastry Company Ltd. Head of Project Giorgi Chkuaseli**










ნომინაცია: **საუკეთესოდ განათებული ობიექტი**
საუკეთესო ნომინანტი: **საცხოვრებელი სახლის ინტერიერი**
მდებარეობა: **ბათუმი** ავტორი: **ბექა ქვარიანი**

Nomination: **The Best illuminated object**
Best nominee: **The interior of the house**
Location: **Batumi, Georgia.** Author: **Beka Kvariani**





## საზოგადოებრივი აზრი
## Public (Alternative) Panel




ნომინაცია: **საუკეთესო შენობა**
საუკეთესო ნომინანტი: **სასტუმრო "ანაკლია".**
მდებარეობა: **საქართველი, ანაკლია.** ავტორები: **ნიკოლოზ სებისკვერაძე, დიმიტრი ელიკაშვილი, ირაკლი ზაუტაშვილი, გივი ჯაყელი, ხათუნა ოჩიაური**

Nomination: **The best construction**
Best nominee: **Hotel "Anaklia"** Location: **Anaklia,Georgia**
Authors: **N.Sebiskveradze, D.Elikashvili, I.Zautashvili, G.Jakeli, Kh.Ochiauri**







ნომინაცია: **საუკეთესო შენობა**
საუკეთესო ნომინანტი: **უნიბანკი.** მდებარეობა: **ქ. ბაქო, აზერბაიჯანი.**
ავტორი: **ნარიმან იმამალიევი**

Nomination: **The best construction**
Best nominee: **UniBank.** Location: **Baku. Azerbaijan**
Author: **Nariman Imamaliyev**











ნომინაცია: **საუკეთესო ინტერიერი**
საუკეთესო ნომინანტი: **კიდ-ცენტრალი**
მდებარეობა: **თბილისის ცენტრალი, საქართველო.** ავტორი: **ნათია კარიაული**

Nomination: **The best interior**
Best nominee: **Kid-Central - Children's Entertainment Center**
Location: **Tbilisi Central, Georgia.** Author: **Natia Kariauli**






ახალი ამბები

NEWS

# ბათუმის საერთაშორისო საზაფხულო არქიტექტურული სკოლა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ-ის ინიციატივით 2011 წლის 15-27 სექტემბერს, ბათუმში, მოეწყო საერთაშორისო არქიტექ-ტურული საზაფხულო სკოლა BIASS 2011 თე-მაზე „არქიტექტურა და ბუნებრივი ფაქტორე-ბი“, რომლის მიზანი იყო არქიტექტურული გა-ნათლების და პროფესიის სფეროში ახალი ტე-ქნოლოგიების და გამოცდილების დანერგვა, ას-ევე თანამშრომლობის განვითარება არქიტექ-ტურულ სასწავლებლებსა და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.


*ნახ.1 პროფ. გოჩა მიქიაშვილის ლექცია*
*Professor Gocha Mikiashvili's lecture*

ექსპერტებისა და ახალგაზრდა არქიტე-ქტორების ჩართვა ზღვისპირა ქალაქების გა-ნვითარების სპეციფიკაში, ნაპირდაცვის, ის-ტორიული უბნების რევიტალიზაციის პრობ-ლემატიკაში ხელს შეუწყობს ქ.ბათუმის ტუ-რისტული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტუ-რულ-ადმინისტრაციული ფუნქციების სრუ-ლფასოვან განვითარებას, რაც მომავალში უნდა აისახოს აჭარის რეგიონის მგრადობა-სა და სტაბილურობაში.

საზაფხულო სკოლის გენერალური სპონ-სორი იყო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

სასწავლო პროცესი ჩატარდა ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახლმწიფო უნივერ-სიტეტში.


*ნახ.2 პროფ. ნინო იმნაძე სახელოსნოში მუშაობის პროცესში*
*Professor Nino Imnadze working in the studio*

სკოლას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება გაუწია: აჭარის ტური-ზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, ქ.ბა-თუმის მერიამ, დეველოპერულმა კომპანიამ “არ-სი”. ორგანიზაციებმა - ააიპ “ინჟინრული აზ-რი”, შპს “დარჩიაშვილის ბიო-მარანი”.

საზაფხულო სკოლამ გააერთიანა საქართ-ველოს არქიტექტურული სკოლების -საქართ-ველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექ-ტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულ-ტეტის, ქ.ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნ-ივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავ-ლო ინსტიტუტის, ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ილიას სახელმწიფო უნ-ივერსიტეტის, დელფტის ტექნიკური უნივერ-სიტეტის, კომპანია Architect AvB BNA-ის, მოსკო-ვის არქიტექტურული სკოლის - „მარხი“-ს, კო-მპანია „პოლინა ნოზდრაჩევას შემოქმედებითი სახელოსნო“-ს შესაძლებლობები, რაც შესაბა-მისად აისახა მიღებულ შედეგებზე. დაიგეგმა ახალი ერთობლივი პროექტები. (ნახ.1-11)

სასწავლო პროცესი მოიცავდა თეორიულ და პრაქტიკულ კურსს. პრაქტიკული კურსი წარიმართა ორი მიმართულებით - მოცულო-ბითი და ურბანული დაპროექტება. ურბანულ სექციაში საპროექტო დავალება ითვალისწი-


*ნახ.3 პროფ. პავლე ძინძიბე სტუდენტებთან ერთად*
*Professor Pavle Dzindzibadze with his students*


*ნახ.4 საზაფხულო სკოლის სტუდენტები პრაქტიკული დავალების შესრულების დროს*
*Summer school students implementing the practical assignment*


*ნახ.5 პროფ.პოლინა ნოზდრაჩევას ლექცია*
*Professor Polina Nozdracheva's lecture*

ნებდა - გამოცდილი არქიტექტორების ხელმ-ძღვანელობით, სტუდენტების მიერ ჭავჭავაძ-ის, წერეთლის, შავშეთის, პუშკინის, 26 მაის-ის ქუჩებს შორის მოქცეული ტერიტორიისთ-ვის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის ჩამოყა-ლიბებას.

ამ მიზნით, გაანალიზებული იქნა ქ.ბათუ-მის მერიისა და აჭარის ტურიზმის დეპარტა-მენტის მიერ მოწოდებული მასალები (ნახ.13,14).

შემუშავდა ქალაქგანვითარების ძირითა-დი მიმართულებები. დაზუსტებული იქნა სა-პროექტო ტერიტორიის ფუნქცია და მნიშვ-ნელობა ქალაქის მომავალ სტრუქტურაში. (ნახ.15,16).

მოცულობით განყოფილებაში სტუდენტე-ბმა დაამუშავეს ცენტრალურ მოედანზე, რუ-სთაველის ქუჩის №10-ში მდებარე 60-იან წლე-ბში აშენებული მრავალბინიანი სახლის ფა-სადის რამდენიმე ვარიანტი, მასთან დაკავში-რებული კვარტალური რეკონსტრუქციის კო-ნცეფციით.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სახლს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბათუმის ცენტრის სივრცულ-მოცულობითი იერსახის ჩა-მოყალიბებაში. საკმაოდ გრძელია (135 მ), ქმნის ერთ კვარტალს და მთავარი ფასადით „თეატრალურ მოედანს“ ესაზღვრება.(ნახ.17)


*ნახ.6 პროფ. პიტერ ფონ ვან დერ თურნ ვრიჯთჰოფი, ია კუპატაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების კურატორი*
*Professor Peter von van der Toorn Vrijthoff, Ia Kupatadze (curator of Ilia University)*



*ნახ.7 პროფ. პიტერ ფონ ვან დერ თურნ ვრიჯთჰოფი დასკვნითი პრეზენტაციის დროს*
*Professor Peter von van der Toorn Vrijthoff at the conclusive presentation*



*ნახ.8 სკოლის დირექტორი ასოც. პროფ. ნინო ჩაჩავა, ტუტორი - არქიტექტორი პიტერ ფონ ვან დერ თურნ ვრიჯთჰოფი*
*School director - associate professor Nino Chachava, tutor - professor Peter von van der Toorn Vrijthoff*

სტუდენტების მიერ შემოთავაზებული საპროექტო კონცეფცია მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს და სახლის სახურავზე ახალი სივრცის შექმნის თემატიკას, ვინაიდან ქალაქში განვითარებული მაღლივი შენობების ტენდენციამ მოითხოვა ბათუმის მეხუ-



*ნახ.9 სკოლის კოორდინატორი მალხაზ ლეკვეიშვილი*
*School coordinator Malkhaz Lekveishvili*

თე ფასადის თემის განვითარება.

პირველი ჯგუფის პროექტის მიხედვით შიდა ფასადის მხრიდან შეიქმნა ორდონიანი სივრცე (ნახ. 18,19,21), სადაც პირველ სართულზე (ნულოვან დონეზე) მოეწყო ავტოფარეხები, მეორეზე კი - მწვანე “პარკი” ანუ ში-



*ნახ.10 დაჯილდოება*
*Award ceremony*

და ეზო, რომელიც ასოცირდებოდა ტრადიციულ ბათუმურ ეზოსთან.

მთავარი ფასადის პირველი სართულის დონეზე შეიქმნა გადახურული ქუჩა (პასაჟი) (ნახ. 18, 20, 21), რითაც აღდგენილი იქნა შენობის პირველი სართულის კულტურული და სავაჭრო ფუნქცია. პასაჟებმა, ზედა სართულებზე, აივნების გაფართოების და მათზე გამწვანების მოწყობის შესაძლებლობა მიიღო.

მეხუთე ფასადის ანუ სახურავის თემას, რაც




*ნახ.12 ჩვენი ხედვა ბათუმის განვითარებაეზე*
*Our vision of Batumi development*

შეეხება, აქ, მოეწყო სამხატვრო სახელოსნოები და ღია მწვანე სარეკრეაციო სივრცეები - მივიღებული იქნა „მწვანე სახლის“ კონცეფცია.

მეორე ჯგუფმა განავითარა მოძრავი ფასადის თემა - ნოუჰაუ ტექნოლოგია, დანერგილი „კიფერ ტეჩნიქს“-ის მიერ. შეიქმნა სისტემა, რომელიც ფასადის სტატიური მდგომარეობიდან, დინამიურ მდგომარეობაში გადასვლას ისახავდა მიზნად. ამის შედეგად, ერთ შენობაში გაერთიანდა არქიტექტურული ნაგებობის, ქანდაკების (ნახ.22) და „თეატრალური მოედნის“ ფონის (ნახ.24) თემები. შენობის აღმოსავლეთ ფასადს მიენიჭა დამატებითი ფუნქცია – ეკრანი, რამაც შენობა და მოედანი - „ერთ კინოდარბაზად“ გარდაქმნა (ნახ. 25).

ფასადის გარდა, ახლებურად იქნა გააზრებული მიმდებარე კვარტლის მთლიანი სტრუქტურა. ბათუმური ეზოს ტრადიციების მიხედვით შეიქმნა „ეკო კვარტალი“, სადაც ნულო-



*ნახ. 11 ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში.* Excursion to the Botanical Garden



*ნახ.13 საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობა. ძირითადი სატრანსპორტო სქემა არსებული მგომარეობით*
*Location of research area. Existing transport network*



*ნახ.14 საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ფუნქციური კავშირები*
*Major functional links at the target area*



*ნახ. 15 ქ.ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფტუალური სქემის ფრაგმენტი. ვარიანტი ა*
*Fragments of Batumi infrastructure development concept plan. Version A*



*ნახ.16 ქ.ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფტუალური სქემის ფრაგმენტი. ვარიანტი ბ*
*Fragments of Batumi infrastructure development concept plan. Version B*

ვან დონეზე გაჩნდა პარკი (ნახ.23,26), ხოლო ავტოფარეხი, ეკო ნორმების დაცვით, მიწის ქვეშ მოეწყო.

შენობის სახურავზე (მისი ცენტრალური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე), დამატებითი სივრცეები შეიქმნა, სადაც განთავსდა პარკი მცირე კაფე-ბარებით. მივიღეთ ერთგვარი ბელვედერი, ხედით ბათუმის ისტორიულ უბნებზე. სასიამოვნო პანორამა გაიხსნა ასევე სასტუმრო რედისონიდან.

საზაფხულო სკოლაში ურბანული სექციის პრაქტიკული სამუშაო მიჰყავდათ არქიტექტორებს: პიტერ ფონ ვან დერ თურნ ვრიჯთჰოფს (ჰოლანდია) და პავლე ძინძიბაძეს (სტუ). სტუდენტებიდან მონაწილეობდნენ: მ.გიგუაშვილი, ნ.მამალაძე, ვ.ნემსაძე, ე.მალუტაშვილი, დ. დარჯანია, მ.ბერიძე, ნ.მაჭარაშვილი, ლ.თავაძე (სტუ).

მოცულობით სექციის საპროექტო საქმიანობას უძღვებოდნენ პროფესორები: ნინო იმნაძე, თენგიზ გოგოლაშვილი, ვახტანგ ფირცხალავა (სტუ). მონაწილეობდნენ სტუდენტები ნ. ჭანტურია, ნ. ლეკვეიშვილი (სტუ), თ. გარუჩავა, ბ. თოიძე, შ. დარჩია (ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია) - 1-ლი ჯგუფი; გ. ვარდანაშვილი, მ.ზამაშვილი (ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია), ს.ლობჟანიძე, თ.ტეხოვა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მ.ბუაჩიძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ლ.ჯალაღონია (ბათუმის ხელოვნების სასწავლო ინსტიტუტი ) (მე-2 ჯგუფი)

საზაფხულო სკოლაში ლექციები წაიკითხეს პიტერ ფონ ვან დერ თურნ ვრიჯთჰოფმა (ჰოლანდია), პოლინა ნოზდრაჩევამ (რუსეთი), პავლე ძინძიბაძემ, გოჩა მიქიაშვილმა, ნინო იმნაძემ, თენგიზ გოგოლაშვილმა, ვახტანგ ფირცხალავამ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი), გიორგი რამიშვილმა, გოჩა გარუჩავამ (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი), ალექსანდრე ხორავამ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი).

საზაფხულო სკოლას უძღვებოდნენ - დირექტორი: ნინო ჩაჩავა (ასოც. პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი); კოორდინატორი - მალხაზ ლეკვეიშვილი (არქიტექტორი, ააიპ „ინჟინრული აზრი“); საკოორდინაციო ჯგუფი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები: მარიამ გიგუაშვილი (მაგისტრანტი), თამარ ცანავა (მაგისტრანტი), დოლი დარჯანია (ბაკალავრიატის სტუდენტი), ნანა ლეკვეიშვილი (ბაკალავრიატის სტუდენტი); საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი - ელენე დარჯანია (მაგისტრანტი).

საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელობა დიდ მადლობას უხდის აჭარის არქიტექტორულ საზოგადოებას თანამშრომლობასა და მხარდაჭერისათვის.

***სტატია მოამზადა:***
***ასოც. პროფ. ნ. ჩაჩავამ***
***გამოყენებული იყო სამუშაო ჯგუფების მიერ მოწოდებული მასალები***
***www.biass2011.blogspot.com***



*ნახ.17 რუსთაველის ქ. №10 და "თეატრალური" მოედნის ფოტოები, ქალაქგეგმარებითი მდებარეობის მითითებით რუკაზე*
*Photos of no. 10 Rustaveli St. and Theater Square with the location indicated on the map*



*ნახ.18 საპროექტო წინადადების ჩანახატები*
*Project proposal sketches*



*ნახ.19. პარკი შიდა ეზოს მეორე დონეზე*
*A park at the second level of the inner courtyard*



*ნახ. 20 გამწვანება მთავარი ფასადის პასაჟსა და აივნებზე*
*Plants decorating the passage and balconies of the main facade*



*ნახ. 21. ავტოფარეხები შიდა ეზოს პირველ დონეზე და ორდონიანი ვარდების მოედანი*
*Garages at the first level of the inner courtyard*

# The Batumi International Architecture Summer School



ნახ.22 არქიტექტურული ქანდაკება
Architectural sculpture

Georgian Technical University came out with initiative to organize an international summer architectural school dedicated to BIASS 2011 theme "Architecture and Natural Factors" on September 15-27 2011. The school aimed at introduction of new technologies and experience in architectural education and practice as well as development of cooperation between architectural schools and governmental / non-governmental organizations.

Involvement of experts and young architects into the highly specific process of seaside city development and issues related to coastline protection and rehabilitation of historical districts was supposed to facilitate development of tourist, industrial, trade and cultural-administrative functions of Batumi, which would further reflect on sustainability and stability of Ajara region.

General sponsor of the summer school was the Ministry of Education, Culture and Sports of Ajara.

School studies were hosted by Batumi Shota Rustaveli State University.

The school received important financial and technical support from the Department of Tourism and Resorts of Ajara, Batumi City Hall, Developer Company "Arci", organization "Engineering Thought" and Ltd. "Darchiashvili's Bio-Marani".

Summer School integrated students and professors of Georgian architectural schools - Architecture, Urban Studies and Design Faculty of the Technical University of Georgia, Batumi Shota Rustaveli State University, Batumi Arts Teaching University, Tbilisi State Academy of Arts, Ilia University, as well as those of Delft University of Technology, Moscow Architecture School and Polina



ნახ. 24 დინამიური ფასადი. Dynamic facade

Nozdracheva's Studio.

Project assignment in urban studies section implied development of urban concept for the area of Batumi between Chavchavadze, Tsereteli, Shavsheti, Pushkin and May 26 Streets.

Practical work in urban studies section was supervised by architects Peter von van der Toorn Vrijthoff (Holland) and Pavle Dzindzibadze (Georgian Technical University). The group of students included M.Giguashvili, N.Mamaladze,



ნახ. 25 ფასადი-ეკრანი
Screen facade

V.Nemsadze, E.Malutashvili, D.Darjania, M.Beridze, N.Macharashvili and L.Tavadze (Georgian Technical University).

Project activities in the volumetric section were supervised by professors Nino Imnadze, Tengiz Gogolashvili and Vakhtang Pirtskhalava (Georgian Technical University). Two student groups comprised N.Chanturia, N.Lekveishvili and M.Buachidze (Georgian Technical University), T.Garuchava, B.Toidze, Sh.Darchia, G.Vardanashvili, M.Zamashvili (Tbilisi State Academy of Arts), S.Lobjanidze, T.Tekhova (Ilia University), and L.Jalagonia (Batumi Arts Teaching University).

Lectures were delivered by Peter von van der Toorn Vrijthoff (Holland), Polina Nozdracheva (Russia), Pavle Dzindzibadze, Gocha Mikiashvili, Nino Imnadze, Tengiz Gogolashvili, Vakhtang Pirtskhalava (Architecture, Urban Studies and Design Faculty of the Technical University of Georgia), Giorgi Ramishvili, Gocha Garuchava (Batumi Arts Teaching University) and Alexander Khorava (Batumi Shota Rustaveli State University).

Summer School was managed by director - Nino Chachava (associate professor, Architecture, Urban Studies and Design Faculty of the Technical University of Georgia), coordinator - Malkhaz Lekveishvili (architect, organization "Engineering Thought"), coordination group - students of Architecture, Urban Studies and Design Faculty of the Technical University of Georgia Mariam Giguashvili (postgraduate studies), Tamar Tsanava (postgraduate studies), Dali Darjania (undergraduate studies), Nana Lekveishvili (undergraduate studies) and coordination group manager Elene Darjania (postgraduate studies).

Summer School management thanks the architectural community of Ajara for its cooperation and support.

***Article prepared by***
***associate professor N. Chachava***
***Materials used in the article were***
***supplied by Summer School workgroups***
***www.biass2011.blogspot.com***



ნახ. 23 ეკო კვარტალი
Green district



ნახ. 26 მწვანე პარკი შიდა ეზოს ნულოვან დონეზე
A park at the zero level of the inner courtyard

# ერევნის დათვალიერება-კონკურსი



2011 წლის 16 დან 23 ოქტომბრამდე სომხეთის დედაქალაქ ერევანში ჩატარდა არქიტექტურისა და დიზაინის უმაღლესი არქიტექტურული სკოლების, 2011 წლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების XX საერთაშორისო დათვალიერება კონკურსი, რომელიც ერევნის არქიტექტურის და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.

მისი ორგანიზატორები იყვნენ:

- სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა;
- არქიტექტურული განათლების ხელისშემწყობი რეგიონთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია;
- არქიტექტორთა კავშირების საერთაშორისო ასოციაცია;
- სომხეთის არქიტექტორთა კავშირი.
- ერევნის არქიტექტურის და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პარალელურად ჩატარდა სამეცნიერო მეთოდური კონფერენცია - "ევროპულ არქიტექტურულ განათლებაში ინტეგრაცია რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით", რომელიც არქიტექტურული განათლების პრობლემებს მიეძღვნა.

კონკურსი გაიმართა შემდეგ ნომინაციებში:

- **საცხოვრებელი შენობები**
- **საზოგადოებრივი შენობები**
- **სამრეწველო არქიტექტურა**
- **ქალაქგეგმარება**
- **ლანდშაფტური არქიტექტურა**
- **რესტავრაცია**
- **სასოფლო არქიტექტურა**
- **არქიტექტურის თეორია და ისტორია**
- **საქალაქო გარემოს დიზაინი**
- **ინტერიერის დიზაინი**
- **საგნობრივი დიზაინი**
- **კოსტიუმების დიზაინი.**

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 78 არქიტექტურული სკოლის 565 ნამუშევარი, მათ შორის უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, ყაზახეთის, ჩინეთის, იტალიის და ესპანეთის. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა კონკურსზე წარადგინა 6 სადიპლომო ნამუშევარი, რომელთაგან 3-3 - სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომი იყო.

ჩვენმა წარგზავნილებმა ამ დათვალიერება-კონკურსზე დიდ წარმატებას მიაღწიეს.

საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით I პრემია დაიმსახურეს მაგისტრანტებმა:

1. **ლევან მათიაშვილმა** (ხელმძღვანელი გია ნადირაძე) თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის პროექტისათვის;

2. **გიორგი შაყულაშვილმა** (ხელმძღვანელი გია ნადირაძე) სამთო-სათხილამურო კომპლექსის პროექტისათვის, ბაკურიანში;

3. **გიორგი მელაძემ** (ხელმძღვანელი მედეა მელქაძე) თანამედროვე გარემოში ახალი საცხოვრისის პროექტით;

ბაკალავრებმა

4. **ალექსანდრე ხასიამ** (ხელმძღვანელი ზაზა სვანაძე) მრავალფუნქციური ბიზნეს-ცენტრის პროექტისათვის;

5. **ნანა ლეკვეიშვილმა** (ხელმძღვანელი ზაზა სვანაძე) სასტუმრო კომპლექსის პროექტისათვის 100 ადგილზე.

ჟიურის გადაწყვეტილებით მეორე პრემია მიენიჭა ბაკალავრ ვახტანგ ნემსაძეს (ხელმძღვანელი მედეა მელქაძე) სასტუმრო კომპლექსის პროექტისათვის 300 ადგილზე.

***გოჩა მიქიაშვილი,***
***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის***
***არქიტექტურის ინსტიტუტის დეკანი***



ლევან მათიაშვილი
LEVAN MATIASHVILI









გიორგი შაყულაშვილი
GIORGI SHAKULASHVILI







# Contest of Diploma Works in Yerevan



გიორგი მელაძე
GIORGI MELADZE







On October 16-23 2011 Yerevan, capital of Armenia, hosted the 20th International Contest of the Best Diploma Works in Architecture and Design, which was dedicated to the 90th anniversary of Yerevan State University of Architecture and Construction.

The event was organized by:

- Government of the Armenian Republic;
- Interregional public organization supporting architectural education;
- International Association of Architects' Unions;
- Union of Architects of Armenia;
- Yerevan State University of Architecture and Construction

Another event organized in Yerevan simultaneously to the contest was a methodological conference "Integration with European Architectural Education Considering Regional Specifics", which covered the issues related to architectural education.

The contest included the following nominations:

- residential constructions;
- public constructions;
- industrial architecture;
- urban planning;
- landscape architecture;
- restoration;
- rural architecture;
- architectural studies, history of architecture;
- urban environment design;
- interior design;
- object design;
- clothes design

The competition integrated 565 works from 78 architectural schools, including educational establishments from Ukraine, Belarus, Kazakhstan, China, Italy and Spain. Georgian Technical University was presented at the competition by 6 diploma works, which brought the Georgian delegation important success.

International jury awarded the 1st prize to graduates of master degree study courses as follows:

1. Levan Matiashvili (tutor: Gia Nadiradze), project: modern art museum;

2. Giorgi Shakulashvili (tutor: Gia Nadiradze), project: skiing resort in Bakuriani;

3. Giorgi Meladze (tutor: Medea Melkadze), project: innovative living space in modern environment;

The following graduates of bachelor degree study course received the 1st prize:

4. Alexander Khasia (tutor: Zaza Svanadze), project: multifunctional business center;

5. Nana Lekveishvili (tutor: Zaza Svanadze), project: 100-place hotel complex.

2nd prize was awarded to the graduate of bachelor study course Vakhtang Nemsadze (tutor: Medea Melkadze) for the project of a 300-place hotel complex.

***Gocha Mikiashvili***
***Dean of Faculty of Architecture, Urban Planning and Design Technical University of Georgia***



ალექსანდრე ხასია
ALEXANDER KHASIA













ნანა ლეკვეიშვილი
NANA LEKVEISHVILI









# გრემი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გრემის სამონასტრო კომპლექსის რესტავრაცია - რეაბილიტაცია 2011 წლის მაისში დაიწყო. მასშტაბური პროექტი აგვისტოს ბოლოს დასრულდა. უძველეს ქალაქ გრემში აღდგენილია მთავარანგელოზის კომპლექსში შემავალი ყველა არქიტექტურული ძეგლი. მათ შორის მთავარანგელოზის ეკლესია, სამეფო რეზიდენცია და მისი სამრეკლო, კომპლექსის გალავანი და უძველესი მარანი. რესტავრაცია ჩაუტარდა გრემის ტერიტორიაზე შემავალ - ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიას, სამრეკლოიან სამ ეკლესიას და კოშკ-ეკლესიას (XV-XVI საუკუნეები). გრემის განახლებული მუზეუმი კახეთის მეფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობასა და ცხოვრებას ასახავს. განახლდა ქარსა გალავანი, აღდგა ნაქალაქარის გუმბათჩამოშლილი ეკლესია.

რესტავრირებულია სასახლე კოშკში, მეფეთა დარბაზი, რომლის რეექსპოზიციისთვის საგანგებოდ ახალი ექსპონატები შეიქმნა.

გრემის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა არქიტექტორ გიორგი კვიწინაშვილის ძალისხმევით. მისი პროექტით აშენდა დამატებითი ნაგებობები და გამრავალფეროვნდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. განახლდა გრემის ნაქალაქარის ისტორიული სავაჭრო უბანი - ქულბაქები (ბერების ახლანდელი საცხოვრებელი). მან პირვანდელი სახე დაიბრუნა. კონსერვაცია ჩაუტარდა ახლადაღმოჩენილ, მიწისქვეშა XVI-XVII საუკუნის აბანოს. ადრე არსებული წესის მიხედვით, ეკლესიის გალავანს შიგნით განბანილი შედიოდნენ მლოცველები, ამიტომ აქვე იყო აბანოები, რომლის რეაბილიტაციაც ახლა მოხდა - გაიწმინდა და გადაიხურა.

































ეკლესიასთან ახლოს აშენდა ბერების ახალი კელიები.

პროექტის ფარგლებში გრემის ნაქალაქარსა და მთავარანგელოზის კომპლექსის ტერიტორიაზე არქიტექტორ გიორგი კვიწინაშვილის პროექტით ახალი მუზეუმიც აშენდა, სადაც დამთვალიერებელი ქალაქ გრემის ისტორიას დეტალურად გაეცნობა და მეტი შთაბეჭდილებისთვის სპეცილურად მომზადებულ ფილმს იხილავს. ახალი მუზეუმის არქიტექტურულ-მოცულობითი სახე ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. შენობა ნაწილობრივ მიწაშია ჩამჯდარი და ისეთ შთაბეჭდილებას დატოვებს, თითქოს რელიეფშია შეჭრილი. მისი გადახურვა მოკირწყლული ბილიკის მსგავსადაა მოწყობილი.

კომპლექსის ყველა ძეგლი მოკირწყლული ბილიკით უკავშირდება ერთმანეთს. დაიგო ციხე-ეკლესიასთან მისასვლელი ქვის ბუნებრივი საფეხურები და მოეწყო დასასვენებელი ბაქნები. მოეწყო, ასევე, სპეციალური ავტოსადგომი. „მთავარანგელოზის“ წინ ავტომანქანების გაჩერება აიკრძალა. მნახველები მანქანებს სპეციალურ ავტოსადგომზე აჩერებენ და სამონასტრო კომპლექსს ქვეითად ათვალიერებენ. ავტოსადგომიდან კომპლექსში შემოსასვლელ კართან ე.წ „წყლის სარკე“ ანუ პატარა ტბაა, რომელშიც გრემის „მთავარანგელოზი“ ირეკლება და ძალიან ლამაზი სანახაობა იქმნება. აქვე არის სუვენირების, საეკლესიო ლიტერატურის და სხვა მაღაზიები. მთელი კომპლექსი გამწვანებულია. დადგმულია სპეციალური საგზაო ნიშნები და საინფორმაციო ბანერები.















# GREMI

Restoration of the ancient town of Gremi started in May and finished in August 2011.

The process covered all the architectural monuments of Mtavarangelozi complex, including Mtavarangelozi Church, royal residence, bell tower, fortification wall. Restoration project included several 15th-16th century churches located in Gremi: Iveri Holy Mother Church, three churches with belfries and the tower church. The updated Gremi Museum reflects reconstruction activities and daily life of Kakheti kings. Karsa fortification wall and city church dome were restored, as well as the royal stateroom, exposition in which was enriched with new, specially created exhibits.

A great deal of work on the territory of Gremi was implemented due to the efforts of architect Giorgi Kvitsinashvili. New facilities were built, tourist infrastructure became more diverse. Renovation process also covered the historical trade quarter of Gremi with medieval junk shops, which are currently used as monks' dwellings. Conservation, cleaning and roofing works were carried out in a newly-discovered 16th-17th CC underground bathhouse. According to an ancient custom, pilgrims were required to refresh themselves in a bath before entering the church; the bathhouse recently discovered under the monastery complex served similar purposes.

New monastery cells were built in Gremi under the project. Architect Giorgi Kvitsinashvili designed a new museum building, where visitors can take detailed tours into history of Gremi and watch a dedicated documentary. The new museum has a very interesting design: the construction is set deep in the ground and looks like it has grown out of the site; its roofing resembles tiling on a pedestrian path.

All the historical parts of historical complex are interconnected with pedestrian paths. Stone stairs with resting platforms were arranged on the way to the fortress church and a new parking lot was built so as to prevent parking in front of Mtavarangelozi Church. The visitors are now obliged to leave their cars in a dedicated area and approach the complex on foot. At the main entrance there is a so-called “water mirror” - miniature lake with a stunning view of Mtavarangelozi. Near the entrance you will also find sales outlets trading in merchandise, ecclesiastic literature and other goods. The complex is equipped with directional signs and information boards.









# მინის კუბი

საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობა, საქართველოს საავტომობილო გზების ყოფილი სამინისტროს შენობა, აგებულია 1975 წელს გიორგი ჩახავას და ზურაბ ჯალაღანიას პროექტის მიხედვით. 1975 წლიდან დღემდე შენობა დიდი ყურადღებას იმსახურებს მსოფლიო არქიტექტურაში, როგორც კონსტრუქტივიზმის თვალსაჩინო მაგალითი.

2007 წელს შენობა საქართველოს ბანკმა შეიძინა და გადაწყვიტა იგი თავის მომავალ სათავო ოფისად გადაექცია. 2010 წლიდან დაიწყო სარემონტო-სარესტრავრაციო სამუშაოები, რომლებიც წელიწადზე ოდნავ მეტ ხანს გაგრძელდა და ამ არქიტექტურულ შედევრს ახალი სიცოცხლე აჩუქა. ინტერიერის დიზაინის ავტორი გახლავთ კომპანია „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები". გენერალური კონტრაქტორი კომპანია " ბკ-კაპიტალი", ხოლო ინტერიერის მოწყობა შესრულდა კომპანია „არქთრეიდის" მიერ . გამოყენებული მასალები - რბილი იატაკი: სატნადრტულ სართულებზე - MILLIKEN (ინგლისი) და პირველად საქართველოში Custom Design რბილი იატაკი EGE-სგან (დანია). შიდა ტიხრები: MAARS (ჰოლანდია). ფანჯრები: Schuco (გერმანია). აკუსტიკური ჭერები: Fantoni (იტალია). კედლის პანელები: LUCEM (გერმანია, რომელიც პირველად საქართველო-









ში დამონტაჟდა, რაც წარმოადგენს ბეტონის მოსაპირკეთებელ ფილებს, შიდა განათებით).

18-სართულიან შენობას 13 500 კვ.მ. ფართობი უკავია, აქვს საკუთარი კაფეტერია, თანამედროვედ აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზი და 3 500 კვ.მ. ფართობის მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომი საქართველოს ბანკის თანამშრომლებისა და ბანკის სტუმრებისათვის. საქართველოს ბანკის ახალ სათავო ოფისში, კეთილმოწყობილ და კომფორტულ გარემოა შექმნილი, ბანკის 16 დეპარტამენტის 600-ზე მეტი თანამშრომელისთვის.

ბანკის განსაკუთრებული სიამაყის საფუძველს 11 მ სიმაღლის მინის კუბი წარმოადგენს, რომელიც მთავარი შესასვლელის ფუნქციას ასრულებს. არქიტექტორების წინაშე რთული ამოცანა იდგა, რადგანაც პირველი სართულების ფართი არასაკმარისი იყო ეფექტური მისაღებისა და მოსაცდელი სივრცის მოსაწყობად. შედეგად, გადაწყდა მინის კუბის აგება, რომელიც ამავდროულად კარგად ერწყმის შენობის მთლიან ხასიათს. მინის კუბის არქიტექტორი და პროექტის ავტორია INNOVERE (გერმანია); დიზაინი შესრულდა კომპანია „არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები“ -ს პროექტით. კუბის საინსტალაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 3 თვე, არქტრეიდის მიერ, გერმანელი სპეციალისტების ზედამხედველობით.

კუბი ყველაზე დიდი, საზოგადოებრივი გამოყენების მინის ნაგებობაა მსოფლიოში, რომლის მზიდ კონსტრუქციად არ არის გამოყენებული რკინა-ბეტონი, თუ სხვა მასალა. უნივერსალური მინის კუბის მზიდი კონსტრუქციაც კი, რომელიც მთელი მასივის სიმძიმეს (დაახლოებით 65 ტონამდე) იჭერს - მინისგან არის შექმნილი.







# ოცნების სვეტი

გარემო - ბავშვობისდროინდელ სათამაშოს ჰგავს. მერე საინტერესო ბილიკებით სტაფაჟურ გარემოში ხვდები, განსაკუთრებული განწყობა იქმნება.....

ბათუმის ახალ ბულვარში არაორდინალური ადამიანების - სკულპტორების, ირაკლი წულაძის და მარიუს აბრამავიჩუსის ავტორობით შექმნილ ლაბირინთს ოცნების სვეტთან მივყავართ. უფრო სწორედ, რაღაც გამჭვირვალებით დაცულ მუდმივმოქმედ სპექტაკლში - სცენაზე ხვდები, სადაც, სურვილისამებრ, მთავარ გმირად მონაწილეობ და რეალობით ტკბები.



ლაბირინთის ყოველი მონაკვეთი მოულოდნელი გადაწყვეტილების ძიებაა, მიგნებაა და არა მარტო... ღია სივრცეში თავისუფლად რაფინირებულ თითოეულ კომპოზიციას მთელი სისავსით აღიქვამ. ავტორებმა სპონტანურად, თითქოს თამაშით მოგონილი თემატური სცენარით, შინაარსობლივად შთამბეჭდავი ექსპოზიცია შექმნეს, სადაც სივრცის მთლიანობა ცალკეული მოდულური ელემენტებითაა გაჯერებული. ყოველი დეტალი პიროვნულად იპყრობს ყურადღებას. ნიუანსები ინდივიდუალურია, თავისებურად ეფექტურია და გარემოს ამაღლებულ, განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს...



სკულპტურული კომპოზიცია „ოცნების სვეტი“ 2011 წლის 23 სექტემბერს გაიხსნა. ეს არის ოცი მეტრის დიამეტრის ლაბირინთი, რომელიც ქვისგან და სხვადასხვა დეკორატიული ორნამენტებისგან შედგება. მის შუაში ბრინჯაოს ოცნების სვეტი დგას. იგი ორნამენტებით და სიმბოლოებთაა დატვირთული. ოცნების სვეტის თავზე ხელის ფორმაა ამოკვეთილი. როცა მნახველი ლაბირინთში გზას გაიკვლევს და ცენტრამდე მივა, ის ბრინჯაოს სვეტში თავის ხელს მოათავსებს. სვეტი ისე დგას, რომ მნახველის მზერა ზღვისკენ არის მიმართული და სწორედ ამ დროს შეუძლია მას სურვილი ჩაიფიქროს.

ეს ქართულ-ლიტვური პროექტია, რომელსაც ამ წლის გაზაფხულზე ჩაეყარა საფუძველი. ირაკლი წულაძეს ლიტველი მეგობარი და კოლეგა ეწვია. ბათუმის ახალი ბულვარის დათვალიერებისას მეგობრებს გაუჩნდათ სურვილი, იქ ახალი იდეა განეხორციელებინათ, განსხვავებული ნამუშევარი შეექმნათ, რაც ქართულ სივრცეში აქამდე არ ყოფილა და მას სიმბოლური, სანახაობითი ხასიათი ჰქონოდა. ლაბირინთში, გზის გაკვლევისას ვიზუალურ მასალასაც ხედავ, კითხულობ ტექსტებს და სხვადასხვა ნიშანსა და მანიშნებელს აკვირდები.





სკულპტურულ კომპოზიციაზე მუშაობა ადრე გაზაფხულზე დაიწყო და შემოდგომაზე დასრულდა. გახსნას დაესწრნენ ბათუმის მერი რობერტ ჩხაიძე და ლიტვის ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი.

ნინო ლალიძე





# Dream Column

This place looks like a childhood toy. One step forward and you are transported into the world of magic…

In the new section of Batumi Boulevard sculptors Irakli Tsuladze and Marius Abramavichus created a labyrinth leading to the Dream Column. To be more precise, the sculptural composition leads onto a translucent theatre stage, where you can play a role and enjoy the reality seen with different eyes.

Each section of the labyrinth is an attempt to find solutions, the quest, the act of finding… Based on a thematic scenario - your first idea would be that this scenario was hardly anything more than a childish game







- the authors created an impressive and meaningful composition, in which the space is saturated with modular elements. Each detail attracts attention with its individuality and efficiency.

Sculptural composition "Dream Column" was launched on September 23 2011. This is a 20 m. diameter stone labyrinth with numerous decorative ornaments and a bronze Dream Column in the center. The column is decorated with ornaments and symbols. On top of the Dream Column there is a hand-shaped pit, in which the visitors reaching the center of the labyrinth can put their hands and make a wish while looking at the sea.

The sculpture is a Georgian-Lithuanian project, implementation of which started this spring, when Irakli Tsuladze was visited by his Lithuanian friend and colleague. While strolling in new Batumi Boulevard, the friends thought this would be the right place to realize an original idea with special meaning. The resulting work symbolizes the quest of direction, offering numerous hints and indicative signs.

Launching of the sculpture was attended by Mayor of Batumi Robert Chkhaidze and Ambassador of Lithuania in Georgia Jonas Paslauskas.

NINO LAGHIDZE







# იკის სტიქია



თანამედროვე სკულპტურა თუ დიზაინერული ელემენტი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი შენობის აუცილებელი ელემენტია. ბოლო ხანებში იგი განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს და ამა თუ იმ არქიტექტურული კომპოზიციის ლოგიკურ დასრულებას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში კი ინტერიერის თუ ექსტერიერის გადაწყვეტა მის ფორმა-მოცულობაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე მასალების და ტექნოლოგიათა „ფილოსოფია“ შემოქმედებითი იდეების საფუძველია და საუკეთესო დიზაინერული ნიმუშების შექმნისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს. დიზაინი განუწყვეტლივ მოძრაობაშია, სრულყოფაშია. სტილი და ფორმა ერთმანეთს სწრაფად და მოულოდნელად ცვლის. მოცემულ ჭრილში, მეტად მრავალმხრივია ახალგაზრდა სკულპტორის იკი წულაძის შემოქმედება. იგი, ორიგინალური და არაორდინალური ფორმის მოდელების შექმნით, მათი დიზაინის პროექტირებას ხელოვნების ცალკე სფეროდ გამოყოფს. მხატვრის ნამუშევრები მომხიბვლელია ოსტატობის ხარისხით და პიროვნულობის ნიშნითაა აღბეჭდილი (მიუხედავად იმისა, რომ მათში დამკვეთის - მფლობელის გემოვნება და შეხედულებებია არეკლილი). რაც შეეხება თავად ქმნილებებს, მათი სრულყოფა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. თითოეული, გარკვეულწილად, ფუფუნების საგანია და ბუნებრივია, მატერიალურად უზრუნველყოფილი საზოგადოების ფენისთვისაა ხელმისაწვდომი. მაგრამ ამავდროულად იკის ხელოვნება გათვლილია ისეთ „მომხმარებელზე“, რომელიც მაღალ, დახვეწილ ესთეტიკას ანიჭებს უპირატესობას.



სკულპტორმა თანამედროვე ხელოვნების კლასიკური საფუძვლების აღქმითა და მათი ემოციურ პრიზმაში გატარებით, საკუთარი გაცნობიერებული შემოქმედებითი სახე წარმოაჩინა. ცალკეული მოცულობის თუ სივრცისთვის შექმნილი მრავალფეროვნება კი, მისი შემქნელის მიმართ ინტერესებს მუდამ აძლიერებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმისადმი შემოქმედებითი, სკურპულოზური მიდგომით, კომპოზიციების უჩვეულო, პირობითი თუ კონკრეტული თემები სამუშაო სიბრტყიდან სხვადასხვა სტატიკურ და დინამიკურ სისტემად გამთლიანებულ მოცულობებად გარდაიქმნება.



ჩვენს რეალობაში იკი წულაძის იდეითა და უშუალო ძალისხმევით მრავალი პროექტი განხორციელდა. მის მიერ შექმნილი შემოქმედებითი სამყარო მდიდარი და მრავალმხრივია და ორასამდე ნაკეთობას მოიცავს. ამ კოლექციის საშუალებით ადამიანებმა ადვილად შეიძლება ამოიკითხონ სკულპტორის პიროვნება – იგი საზოგადოებას თავისი ხელოვნებით ესაუბრება.



უახლოეს მომავალში, იკი წულაძე ამერიკაში აპირებს გამგზავრებას ინდუსტრიალ-დიზაინის ცენტრში სასწავლებლად და გამოცდილების მისაღებად. გადაწყვეტილი აქვს შექმნას და დააარსოს საკუთარი სახელობის ბრენდი. შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ სკულპტორს.

ნინო ლალიძე



# Iki's Element







Sculptural elements are indispensable, increasingly popular components of modern public and residential design, contributing to logical completeness and often serving as dominants, around which interior or exterior design solutions are built.

The philosophy of modern materials and technologies is the breeding ground, on which creative ideas are cultivated. Design is a constant strive toward perfection, incessant movement with rapid and unexpected turns. In this regard, it is very interesting to study the works of young sculptor Iki Tsuladze. The sculptor creates highly original objects, raising the process of design development to the level of a new branch of art. Iki's works are markedly artistic and individualist; each is a luxury, affordable to wealthy public. However, Iki's art also requires refined aesthetic perception.

The sculptor expresses his creativity by running the classic foundations of modern art through the prism of his own emotions. Diverse designs, created for varying constructions and interiors, evoke the same insatiable interest toward the author's personality. In each particular case, creative and meticulous approach combined with design themes – sometimes generalized, sometimes specific, but invariably original – transform into integral and dynamic works of art. Iki's ideas and efforts served to create numerous projects. The rich and diverse collection of Iki's art is the medium, through which Iki converses with the surrounding world.

In the nearest future Iki Tsuladze plans to go to USA and take a course of studies in Industrial Design Center. His long-term plan is to establish his own brand.

NINO LAGHIDZE











# Fashion Week 2011



*სამხატვრო აკადემიის პროფესორი ნინო მგალობლიშვილი*

***Professor Nino Mgaloblishvili, State Academy of Art***

დასრულდა ქართული მოდის კვირეული (Georgian Fashion Week 2011), რომელიც ამ სეზონზე მეოთხედ ჩატარდა. Georgian Fashion Week 2011 შემოდგომის, უთუოდ, მთავარი და არაჩვეულებრვი მოდური მოვლენა გახლავთ. მასზე უკვე დაიწერა გაზეთებში, ისაუბრეს ტელევიზიით, ითქვა ბევრი ლამაზი სიტყვა, რა თქმა უნდა, "იჩურჩულეს" კულუარებშიც ... . ჩვენ კი დღეს ვისაუბრებთ არტ-პროექტზე "ქართული რემინისციენციები", რომელიც Georgian Fashion Week-ის ჩარჩოში შოუ-რუმის ფორმატით ჩატარდა და მაღალი მხატვრული გემოვნების საზოგადოება სასიამოვნოდ გააკვირვა თავისი მასშტაბურობით და მონაწილე ქართველ არტისტთა ბრწყინვალე შემადგენლობით. პროექტის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია Fashion Week 2011-ის მენეჯერი დიზაინერებთან ურთიერთობის დარგში, სამხატვრო აკადე-











მიის პროფესორი ნინო მგალობლიშვილი. ჩვენ მივმართეთ ნინოს თხოვნით, რათა ესაუბრა ამ პროექტზე, გაეზიარებინა მკითხველისათვის თავისი მოსაზრებები ქართული დიზაინის განვითარებისა და საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პერსპექტივებზე.

ნ.მ. - უპირველესად, დიდი მადლობა, რომ საშუალება მომეცით თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან ვთქვა ის, რაც ძალზე აქტუალური და მტკივნეულია ქართულ მხატვრულ სინამდვილეში. საქართველოში არა ერთი ნიჭიერი არტისტია, მსოფლიო მასშტაბის შემომქმედად რომ შეიძლება აღიარონ. ამიტომ, ქვეყნის იმიჯისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღების მიპყრობა ცნობილ ეროვნულ შემოქმედებზე, აუცილებელია ხმამაღალი განაცხადი გაკეთდეს ჩვენს მხატვრულ პოტენციალზე.

საქართველოს მოდის კვირეულის (Georgian Fashion Week 2011) კონცეფცია ორიენტირებულია მსოფლიო მოდის კვირეულების გამოცდილებაზე პარიზში, ნიუ-იორკში, ლონდონში, მილანში... მაგრამ ქ-ნ მაკა მეტრეველის ხელშეწყობით GFW 2011 გასცილდა ტრადიციულ ჩარჩოს და მის ფორმატში, შოუ-რუმის სახით, მასშტაბური და ორიგინალური პროექტი განხორციელდა. ქართულ საზოგადოებას მიეცა უნიკალური შანსი გასცნობოდა საუკეთესო შემომქმედთა ექსკლუზიურ ნამუშევრებს ერთ საგამოფენო სივრცეში. ეს იყო ახალი იდეების, ძიებისა და მიღწევების დემონსტრაცია. ექსპოზიციის მონაწილეები განსხვავებულ მიმართულებებსა და ჟანრებს განეკუთვნებოდნენ, მაგრამ ამ გამოფენაში გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა საგნობრივ-სივრცითი იდეების განხორციელებისაკენ სწრაფვით და თავიანთ პრინციპებს ორიგინალურ, აბსტ-

რაქტულ აზრობრივ სივრცეში წარმოაჩენდნენ. პროექტში კონცეფტუალური ვიზუალური არტების ინტეგრირება - ტექსტილი, დეკორატიული აქსესუარები, საიუველირო და საგალანტერიო ნაწარმი, მინანქარი, სათამაშო, ბარათები, მინა, კერამიკა, სარკეები, ინსტალაცია განათებით, პოპ-არტი, რკინის ობიექტები – მეტყველებდა პროექტის ჩართულობაზე თანამედროვე ხელოვნების მრავალასპექტიან კონტექსტში, ხაზს უსვამდა მის შესაძლებლობას ერთ ზოგად კონცეფციაში მოექცია ხელოვნების სხვადასხვა ფორმათა და ჟანრის სინთეზი.

ქეთი მატაბელი, მიშა იაშვილი, დათო მონავარდისაშვილი, ოთარ ვეფხვაძე, გიგიშა პაჭკორია, კოტე ჯინჭარაძე, ლევან მარგიანი, დენის განაბოლინი, "ორნამენტი" "ისტორიალი" მარიკა ბერიძე, "გეორ-

გიან ქუილტ გროუპ" "ჯგუფი 3" ანა ჯაფარიძე, ნინო კოპალაძე" ,ემელ" "მანა მანა" თამარ კიკალეიშვილი, თორნიკე ჯგერნაია, "მაოცი" ლიზა ეპიტაშვილი, მარინა ქობალია, ნანა ბედიაშვილი "Georgian wooden toys", ქეთი შალამბერიძე, მაკა ბასილაია, ქეთი ხაზაიშვილი, "არტ გლასს" სალომე პაჭკორია, ლიკა აბუაშვილი, თამარ არეშიძე, ლიკა გამრეკელი, თეა შონია, ანუკა ჯანიაშვილი... როგორც ხედავთ, არტ-პროექტში მონაწილე ქართველ ხელოვანთა ბრწყი-

ნვალე კოჰორტის გვერდით, რომელიც დღეს ქართული დიზაინის სკოლის აღიარებული სახეა, ახალგაზრდა პერსპექტიული დიზაინერებიც წარმატებულად იყვნენ წარმოდგენილნი. რთული არ იქნება განსაზღვრა, ხელოვნების მეტრებთან ურთიერთობით, თუ რა ბრწყინვალე შანსი მიეცათ ახალგაზრდებს შემოქმედებითი წარმოჩენისათვის, პროფესიონალური ზრდისათვის... Georgian Fashion Week-ის ორგანიზატორმა ქ-მა მაკა მეტრეველმა შოუ-რუმისათვის გამოჰყო სპეციალური დარბაზი, რომელიც, პროექტის კონცეფციის თანახმად, სივრცის "კონსტრუირების" შესანიშნავ შესაძლებლობას იძლეოდა. შეიქმნა ვრცელი ფუნქციონალური სამუშაო ზონა. უზრუნველყოფილი იყო ყველა შესაძლებელი პირობა კოლექციების პრეზენტაციისათვის.













დიზაინი დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ ხელოვნება. შოუ-რუმი არც კონკურსი, არც ფესტივალია. ეს არის პროფესიონალ დიზაინერთა სამუშაო ადგილი. ცნობილია, პერსპექტივა და განვითარება დიზაინში განპირობებულია არა მხოლოდ იდეების განხორციელებით, არამედ მათი გაყიდვების ინტენსიურობითაც. ყოველივე, რაც დიზაინერმა მოიგონა, უნდა იყიდებოდეს. კოლექციების პრეზენტაციების შოუ-რუმის ფორმა რჩება ყველაზე ეფექტურ მარკეტინგულ ინსტრუმენტად. ჩვენი შოუ-რუმიც ტრადიციულად უნდა გამხდარიყო მომგებიანი კონტრაქტებისა და ახალი საქმიანი კონტაქტების მოპოვების ადგილად, რაც გულისხმობდა დიზაინერთა დახმარებას მასმედიასთან, ბიზნესის წარმომადგენლებთან, ბიზნეს-ელიტასთან, ინვესტორებთან საქმიანი კონტაქტების მოძიებაში სამწუხაროდ, ამოცანა – ფულის მოზიდვა კონკრეტულ სახელებთან და დიზაინის ობიექტის მწარმოებლებთან – ვერ შევასრულეთ. ძირითადი მიზეზი – საქართველოში ბაიერების ინსტიტუტის არ არსებობაა. დასავლეთისგან გასხვავებით, სადაც დაახლოებით ასეთი სქემა ვითარდება - დიზაინერები ამუშავებენ იდეებს, ბაიერები მათ ყიდულობენ, მაღაზიები ყიდიან – საქართველოში არ არსებობს ბაიერთა სისტემა და უნდა დავიწყოთ ნულიდან.

მიუხედავად პრობლემებისა, ოქტომბრის თვეში საქრთველოში განხორციელდა ელიტარული და კარგი გემოვნების მაჩვენებელი უნიკალური გამოფენა, წარმოდგენილი რჩეულ ხელოვანთა დიდი რაოდენობით, რომელთა გაბედული შემოქმედებითი ძიებები დიზაინის ახალი ტენდენციების კაშკაშა გამოვლინებაა. ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელია სერიოზული ინოვაციური ღონისძიებები მომავალშიც ტარდებოდეს. ასევე აუცილებელია, აგრეთვე, ერთ საერთო სამუშაო სივრცეში, ეწყობოდეს ხელოვანთა, ექსპერტთა, პოტენციალურ ინვესტორთა, ვაჭრობის მუშაკთა რეგულარული შეხვედრები. დღესდღეობით, Georgian Fashion Week 2011 ჩარჩოში ჩატარებული არტ-პროექტი "ქართული რემინისციენციები" – არის მატარებელი რეალური შესაძლებლობისა ჩამოაყალიბოს და შემოქმედებითად გამოხატოს საქართველოს ნაციონალური ბრენდი. მითუმეტეს, საგულისხმოა, რომ პროექტის რეალიზაცია მოხდა არა ჩაკეტილ სივრცეში, არამედ ცნობილ დიზაინერთა მხარდაჭერის და აღიარების ფონზე.

კორ.: მადლობთ, ნინო. ყოველთვის საინტერესოა კომპეტენტურ ადამიანთან საუბარი. რამდენად შესაძლებელია, რომ მოდის კვირეულები ძლიერი მოტივაცია გახდეს ქართული მოდის დიზაინის ინდივიდუალურობის მოპოვებისათვის, ქართველ დიზაინერთა საერთაშორისო ბაზარზე გასვლისათვის?

ნ.მ. - მოდის კვირეულები მართლაც შესანიშნავი სტიმულია ქართველ დიზაინერთა ზრდისა და საერთაშორისო არენაზე ადგილის მოპოვებისათვის. მაგრამ საქართველოში ეს პროცესი მხოლოდ ეხლა იწყება.

თუმცა, უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დამკვიდრდა მნიშვნელოვანი მოვლენა – საერთაშორისო Fashion-კვირეულების ჩატარება. ახალგაზრდა დიზაინერებს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენის, პროფესიული ზრდისა და საკუთარი სახელის საერთაშორისო არენაზე გატანის შესანიშნავი შანსი გაუჩნდათ. თბილისში ჩატარებული მაღალი მოდის კვირეულები ნამდვილ მოვლენად იქცა დედაქალაქის მოდისა და მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში. საქართველომ მოდის სფეროში მოღვაწე მეწარმეთათვის ახალი პერსპექტიული ბაზრის გახსნის შესახებ ხმამაღალი განაცხადი გააკეთა. ყოველი დამწყები დიზაინერისთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტ დაინტერესებულ პირს გააცნოს საკუთარი შემოქმედება. მხოლოდ ამგვარად შეიძლება სახელის მოხვეჭა მოდის სამყაროში. ახალი კოლექციის წარმატებულმა ჩვენებამ შესაძლოა სრულიად შეცვალოს დიზაინერის ბედი უახლოეს მომავალში, თუ კი მას გაუმართლებს და აღმოჩნდება მსოფლიოში მიღებულ რომელიმე პრესტიჟულ Fashion-კვირეულზე.

საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის კიდევ ერთი გზა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობაა, რაც საშუალებას აძლევს დამწყებ დიზაინერებს მოხვდნენ საერთაშორისო პროფესიულ "ფართებზე" და საუკეთესო ევროპული მოდის სახლებში გაიარონ სტაჟირება.

უნდა ითქვას, რომ ქართველი დიზაინერები მკაცრი კონკურენციის მარწუხებში არიან მოქცეულნი, როგორც, ბევრად უფრო ძლიერ დასავლელ კომპანიებთან, ასევე ერთმანეთს შორის. მოდის ბიზნესში რომ სტარტი აიღო, ორიგინალური იდეების გარდა მნიშვნელოვანი სასტარტო კაპიტალიც არის საჭირო. ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ, რომ უცხოელი სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი დიზაინერების შემოქმედებით ნიჭს, მაგრამ, ბაზარზე გასასვლელად საჭიროა სოლიდური თანხა ჩვენების ორგანიზებისა და რეკლამირებისთვის.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ჩვენი მოდელიორებისათვის ისიც არის, რომ საქართველოში არ იშოვება მაღალი ხარისხის მასალები და აქსესუარები.

მოდის ბიზნესის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობენ კვალიფიციური მენეჯერები, რომლებიც შეძლებდნენ საავტორო ტანსაცმლის შესაბამისად წარმოჩენას და გასაღებას (მყიდველის მოზიდვას).

***ესაუბრა ბეჟან ზეიკიძე***







# Fashion Week 2011

Georgian Fashion Week 2011 - the fourth round in the current season - is finished. Undoubtedly, Georgian Fashion Week 2011 was the most important and fashionable event of this autumn. It was widely reported by press, discussed, praised and whispered about… Today we would like to speak about art project “Georgian Reminiscences”, arranged in a showroom format under the umbrella of the Georgian Fashion Week. Scope of the event and brilliant selection of participating Georgian artists was a pleasant surprise for the tasteful public. Project was inspired and organized by Fashion Week 2011 designer relations manager, professor of the State Academy of Arts Nino Mgaloblishvili. We asked Ms. Mgaloblishvili to tell us about this project and to share with the readers her ideas on development of Georgian design and its involvement in international design community.

N.M. - First of all, thank you very much for providing me with an opportunity to speak about issues most important and painful for our artistic community. There are numerous talented artists with a potential for international fame in Georgia. Considering this, it is important for the image of the country to focus attention on famous Georgia-based artists, to make a public statement about our artistic potential. The concept of Georgian Fashion Week 2011 is based on the experience of world fashion weeks arranged in Paris, New York, London, Milan… But thanks to Ms.Maka Metreveli’s support, GFW 2011 deviated from the traditional format and encompassed a large and original satellite project. Georgian public was offered a unique opportunity to get acquainted with exclusive works of the best local artists integrated in one exhibition space. This was a demonstration of new ideas, quests and achievements. Exposition participants represented different trends and genres, but this exhibition united them through their striving to realize ideas and express creative principles in an original abstract space. Integration of conceptual visual arts - textile, decorative accessories, jewelry, enamel, toys, postcards, decorative glass, pottery, mirrors, installations, light fixtures, pop-art, iron - all this indicated compatibility of the project with the multi-aspect context of modern art and stressed its ability to integrate different artistic trends and genres under one master concept. Works of project participants, presented in the showroom expressed contemporary Georgian world perception with its eidoses and archetypes, typological similarities, analogies, links, allusions, reminiscences, stories and legends.

It would not be an overstatement to describe art-project “Georgian Reminiscences” as an innovation. This was an artistic breakthrough, a change of paradigms in the Georgian modernism.

Keti Matabeli, Misha Iashvili, Dato Monavardisashvili, Otar Vepkhvadze, Gigisha Pachkoria, Kote Jincharadze, Levan Margiani, Denis Ganabolin, “Ornament”, “Istoriale”, Marika Beridze, “Georgian Quilt Group”, “Group 3”, Anna Japaridze, Nino Kopaladze, “Emel”, “Mana Mana”, Tamar Kikaleishvili, Tornije Jgernaia, “Maotsi”, Liza Epitashvili, Marina Kobalia, Nana Bediashvili, “Georgian Wooden Toyw”, Keti Shalamberidze, Maka Basilaia, Keti Khazaishvili, “Art Glass”, Salome Pachkoria, Lika Abuashvili, Tamar Areshidze, Lika Gamrekeli, Tea Shonia, Anuka Janiashvili… As you can see, the brilliant pleiad of leading Georgian designers participating in this project was backed up by young promising designers, for whom this joint project was a perfect opportunity to present their potential and achieve some professional growth…. Organizer of Georgian Fashion Week Maka Metreveli provided the project with a dedicated exhibition hall, which enabled the artists to “construct” the space in accordance with the project concept. Main goals of the project - promotion of modern design trends, integration of talented Georgian designers under one umbrella, presentation of the best design works, supporting of young designers - have been achieved. According to the experts, events of such magnitude are not very frequent in Georgian reality.

Showroom exposition is neither a competition nor a festival. Professional designers use it as a working space. It is a universal knowledge that prospective development in design depends not only on implementation of ideas, but also on how intensively they are sold. Whatever the designer has invented must sell. Presentation of collections in a showroom remains one of the most efficient marketing tools. Our showroom should also have become a venue for negotiation of beneficial contracts and establishing of cooperation ties with the support of mass media, business circles, investors… Unfortunately, this particular aspect of our project was not realized. Main reason - the lack of buyers as an institution in Georgia. As different from the West, where the common pattern includes designers developing ideas, buyers paying money for these ideas and selling them in shops - in Georgia buyers do not exist and we have to do everything with our own hands…



















In spite of the various problems, in October we managed to organize a unique exhibition, demonstrating refined taste, abundance of talented artists and importance of their creative potential. Large innovative events are indispensable for attracting the investors, and we should go on organizing them in the future. It is very important to provide an integral meeting space for the artists, experts, potential investors and businessmen. At the time being, art-project "Georgian Reminiscences", organized under the umbrella of Georgian Fashion Week 2011 has a serious potential of becoming a national brand. Considering this, it is especially efficient that this project attracted active support and recognition of famous designers. All possible effort should be applied to upgrade this project to international level. Georgia has enough cultural background and potential for this - we just need a bit of time and hard work.

Corr.: Thank you, Nino. Could you please say a couple of words about the outlooks of Georgian fashion? To what extent can the Fashion Weeks help Georgian fashion to find its image and introduce Georgian designers to the international market?

N.M.: Fashion Weeks efficiently stimulate Georgian designers in their development and securing of position at the international market. But in Georgia this process is only just starting. Functioning and development of fashion depends on many different factors. First of all, the public should develop a relevant attitude toward the fashion, a stable economic foundation should be created, there should appear sponsors willing to support young talented designers… In other words, there are a lot of issues to be solved…

However, we can say there is an important progress in Georgian fashion community – I mean organizing of international Fashion Weeks. They provide young designers with a perfect chance to show their creative potential, to improve professional skills and test their strength at the international stage. Fashion community and the local public welcomed Tbilisi Fashion Weeks as an outstanding event. Georgia addressed representatives of international fashion industry with a confident statement about launching of a new promising market. For all young designers it is important to introduce their art to as many people as possible – this is the only way in which they can gain a reputation in the fashion world. Successful presentation of a new collection can crucially change a designer's fate in a wink of an eye, especially if they are lucky to make their way into one of the recognized international Fashion Weeks. Another such opportunity is participation in international competitions, which helps establish efficient professional ties and leads on to internships in the best European fashion houses. And these places are visited not just by rich and famous people, curious public or media representatives. Buyers – world wholesale traders – this is who ought to take a liking to the designer's work. If the buyers pay attention to an original idea, the author's work can be immediately exhibited in a Western-European showroom, where owners of boutiques and luxury shops acquisition their merchandise. There are many other events of a smaller scope, which can be beneficial in this regard - e.g. fashion shows. Many models sell immediately; fashion shows are frequented by people who can afford placing individual orders with the designers they like.

Another major problem our fashion designers are facing is the lack of quality materials and accessories. They can only be acquired abroad - this importantly increases the cost of local products and restricts their availability to the consumers.

Development of fashion industry is also hindered by the fact that we lack qualified managers, who could organize relevant promotion and attract buyers.

***Dialog by Bejan Zeikidze***











# არაჩვეულებრივი გამოფენა



“არაჩვეულებრივი გამოფენა” ამჟამად აჭარაში გაიმართა. 2011 წლის 1 ივლისს ბათუმში, აჭარის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში მოეწყო 80-იან წლებში მოღვაწე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. პროექტის „არაჩვეულებრივი გამოფენის“, ფარგლებში 29 მხატვრის თითო ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამოფენის გახსნას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აიდა აბუსერიძე, აჭარაში მოღვაწე მხატვრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ბათუმის შემდეგ ექსპოზიციამ ფოთში გადაინაცვლა.

გამოფენამ აჭარაში 14 ივლისამდე გასტანა, შემდეგ კი საქართველოს სხვა კუთხეებში გამოიფინა. კერძოდ, 15 ივლისს იგი უკვე გურიაში, ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში - სურათების გალერეაში იქნა წარმოდგენილი. გურიის შემდგომ ნახატები ქუთაისში და შატილში იხილეს.

“არაჩვეულებრივი გამოფენა” უწოდეს თბილისელმა მხატვრებმა პროექტს, რომლის იდეის ავტორიცა და განმახორციელებელნიც თავად არიან. როგორც ამ პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, მხატვარმა მიხეილ იაშვილმა გვითხრა, ქართველმა მხატვრებმა პროექტი ,,არაჩვეულებრივი გამოფენა” ოთხი წლის წინათ მოიფიქრეს, შეიმუშავეს და ახორციელებენ კიდეც. ასეთი გამოფენები უკვე მოეწყო კახეთში, სვანეთში, რაჭაში, სამეგრელოში, ჯავახეთში...- თითოეული გამოფენისთვის სხვადასხვა ნამუშევარს ვარჩევთ. ბევრ მხატვარს უჭირს მათი გაცემა, მაგრამ, ვეუბნებით, რომ შედევრებს არ ვითხოვთ, - ჯავახეთში ჯერ გამოფენა მოვაწყვეთ, მერე სამოცი ნამუშევარი მათ საჩუქრად გადავეცით და ახლა იქ გალერეაა გახსნილი, რომელსაც ფართო საზოგადოება ეცნობა. საერთოდ, ყველა გამოფენისათვის ახალ-ახალ ნამუშევრებს ვარჩევთ, რაც მათ კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

ბათუმში პროექტის ორგანიზატორების მიერ წარმოადგენილ ნამუშევრებს შორის ნახავდით გია ბუღაძის, მიშა იაშვილის, გია გოგეშვილის, ლევან ჭოღოშვილის, თამაზ ყიფშიძის, კოკა ციხელაშვილის, გოგა კოტეტიშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ლევან დადიანის, ლადო თევდორაძისა და სხვათა, ფერწერას, აკვარელს, გრაფიკას. აჭარის მხატვრებიდან წარმოდგენილი იყო ნანატრი ჩიტიშვილის ნამუშევარი.

დამთვლიერებელთა შეფასებით მსგავსი პროექტები ხელს უწყობს თანამედროვე მხატვართა წარმოჩენას და პოპულარიზაციას. მოგვიანებით მხატვრები შემოქმედების შესახებ ფილმისა და კატალოგის დამზადებას გეგმავენ.



ფოთი POTI











ბათუმი BATUMI





ქუთაისი KUTAISI









ოზურგეთი OZURGETI



# Unusual Exhibition

Still another round of the Unusual Exhibition was organized in Ajara. On July 1 2011 National Art Museum of Ajara exhibited worls of Georgian artists of the 1980'es. Project "Unusual Exhibition" selected 29 works, each representing a different painter. Exhibition launch was attended by Deputy Minister of Education, Culture and Sports of Ajarian Autonomous Republic Ms. Aida Abuseridze, Ajarian artists and the local public. After Batumi, the exposition transferred to Poti. Unusual Exhibition stayed in Ajara till July 14, then moved to Guria, where it was exhibited in Modern Visual Art Gallery, then to Kutaisi and, finally, to Shatili.

"Unusual Exhibition" is how Tbilisi-based artists titled a project they decided to implement together. Mikheil Iashvili - one of the project authors, says: "Unusual Exhibition" was conceived four years ago. Such exhibitions were already arranged in Kakheti, Svaneti, Racha, Samegrelo, Javakheti... Different paintings are selected for each exhibition; usually, the artists have a difficulty giving them away, but we persuade them to share with us what they can afford to share, because e.g. in Samtskhe-Javakheti we left 60 paintings to local organizers, and they immediately established a gallery. Generally speaking, we try to pick different paintings for each round of the exhibition – this makes our project even more interesting."

Batumi exhibition featured the works of Gia Bughadze, Misha Iashvili, Gia Gogeshvili, Levan Chogoshvili, Tamaz Kipshidze, Koka Tsikhelashvili, Goga Kotetishvili, Irakli Parjiani, Levan Dadiani, Lado Tevdoradze and others. Ajarian art was represented by Nanatri Chitishvili's paintings.

According to exhibition visitors, such projects contribute to promotion of contemporary artists. In the future, authors of "Unusual Exhibition" plan to produce a documentary and issue a catalog.















შატილი SHATILI



# გრძნობა აგავსებს, ილვრება

... შესაძლებლობა გვეძლევა მხატვარ კახა ჩხატარაიშვილის ფოტოხელოვნებას გავზიაროთ. უახლოეს მომავალში კი მის არაჩვეულებრივ ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს წარმოგიდგენთ.

დამეთანხმებით, ექსპოზიცია ერთბაშად იპყრობს ყურადღებას. მეტყველი ფრაგმენტები მრავლისმთქმელია. მხატვარი ერთდროულად შორსმჭვრეტელი ანალიტიკოსი და ლირიკოსია. იგი ღრმად წვდება რეალიზმს და სწორად აღიქვამს სამყაროს სულიერ დიალექტიკას. კახა ჩხატარაიშვილის შემოქმედებითი მანერა ლაკონური, მაგრამ განსაკუთრებული პოეტურობითაა გაჟღენთილი. ეს კი თითოეულ ნამუშევარს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს, ხელოვანის გემოვნებასა და შემოქმედებით აზროვნებას ავლენს.

მხატვრულ-ესტეტიკური მთლიანობა და მუსიკალურობა წარმოჩენილი ექსპოზიციის ფრაგმენტთა მიზანმიმართული თხრობითი გრაფიკის თუ ფერწერის, მოცულობითობის განმსაზღვრელია და თვითმყოფადობის ესთეტიკას წარმოშობს - ბუნებაში წარმოქმნილ მყისიერებას მარადიულს ხდის.

მხატვარს გრძნობების გამოგონება არ უყვარს - გამოგონილი გრძნობები ცხოვრებას არ გავს. გამოგონილი გრძნობებით არც (ფოტო) ნახატი გამოდის, არც ამბავი. გრძნობა „თხევადია“- აგავსებს, ილვრება და გვარწყულებს.









ორ ფერში (შავ-თეთრს ვგულისხმობ) რეალობა თუ ემოციები თითქოს გაცილებით ექსპრესიულად იხატება. გრაფიკა თავის თავში განსხვავებულ ექსპოზიციასა და დამთვალიერებელს გულისხმობს - განსაკუთრებული გარემო და აღმქმნელი სჭირდება. რაც შეეხება ქალს – მისი მობილური, ელასტიური ბუნება თუ სხეული, ნებისმიერ განცდას, მოვლენას, წელიწადის დროს თუ ამინდს, თუნდაც საგანს ან ნივთს გადმოცემს. ამიტომ ქალი ფოტოებში მხოლოდ ქალი როდია, მას შეუძლია ფიქრიც იყოს, განწყობაც, სიტყვაც და დეკორიც.



ვფიქრობ, განსაკუთრებულ ფენომენთან გვაქვს საქმე - ხელოვანის ფოტოგალერეაში პერსონაჟების თუ პეიზაჟების აღქმისას, ზოგჯერ დამთვალიერებელი იმდენად პედანტურია, ისეთ კანონზომიერებას აღმოაჩენს ნამუშევრებში, ავტორს აზრადაც რომ არ მოსვლია.

დასასრულს კი დამთვალიერებელს მინდა მივმართო: იმედი მაქვს, ფოტო-ნახატებს გულითადად გაესაუბრებით – ჩვეულებრივი, მოკვდავი სიტყვებით კი არა - თვალ(იერ)ებით.

ნინო ლალიძე









# Overflowing Feelings





We would like to present you the photographic works of artist Kakha Chataraishvili.

You will agree that this exposition attracts the attention at the first glance. Each fragment speaks its own language. The artist combines the features of shrewd analyst and poet, a deep perception of realism and the right understanding of spiritual dialectics. Kakha Chkhataraishvili's creative manner is laconic, but lyrical, endowing each of his works with unique charm and revealing the artist's taste and creative thinking.

Aesthetic integrity and musicality of Kakha Chataraishvili's photography defines his purposeful narrative graphics, makes it solid, transforms natural ephemerae into timeless art. The artist does not like to "invent" emotions - artificial emotions are quite far from actual life, quite useless for real photography. The feelings in his photos are fluid - they fill up our hearts, appease our thirst, flow over the edge…

Dichromatic (I mean black and white) reality seems more expressive. Black-and-white photography requires a different approach and special environment. As regards women - a woman with her flexible body and delicate soul is capable of expressing, describing any emotion or happening, season or weather, a thing or an object. This is why in Kakha Chkhataraishvili's photos a woman is not just a woman, but a thought, a mood, a word, a decoration.

I think this is a special phenomenon - landscapes and portraits in the artist's photo gallery reveal unexpected ideas and shades meanings which the author did not even imply.

I hope you have a hearty conversation with these pictures - a conversation meaning not an exchange of words, but a flow of feelings.

NINO LAGHIDZE















# მიხეილ ხვიტია

# Mikheil Khvitia



მიხეილ ხვიტიამ (1924 - 1994) განათლება მიიღო თბილისის სამხატვრო აკადემიაში, 1942-1948 წლებში პროფესორი ალექსანდრე ციმაკურიძის ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოშო პირველ გამორჩეულ პეიზაჟისტ მხატვრად ითვლება.

მიხეილ ხვიტიას ნახატებშიც ასევე დომინირებს სხვადასხვა დროს, დღის სხვადასხვა მონაკვეთში, სხვადასხვა ამინდში "დაჭერილი" საქართველოს ბუნების პეიზაჟები. მან მოინახულა მშობლიური ქვეყნის ყველა კუთხე, რაც ნათლად ჩანს მის სურათებში. განსაკუთრებული ადგილი უკავია მხატვრის შემოქმედებაში მისი მშობლიური მხარის - სამეგრელოს სურათებს.

1949 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, მიხეილ ხვიტიამ მრავალ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა როგორც სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ. მისი ნამუშევრები ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმში და სხვა გალერეებში. ის მოხსენიებულია ქართულ ენციკლოპედიაში (XI ტომი) და საბჭოთა ხელოვნების ენციკლოპედიაში (იბეჭდება მოსკოვში 1965 წლიდან).

მიხეილ ხვიტიას 11 ტილო, შექმნილი 1950-1970 წლებში, ეკუთვნის საქართველოს ხელოვნების მუზეუმს. მხატვრის ადრეული ხელწერის შესანიშნავი ნიმუშები, გამოირჩევა დახვეწილი ტექნიკით და გამჭვირვალე ფერებით. ნამუშევრებში ჭარბობს მომწვანო-რუხი და შროშანისფერი. კოლექციაში მრავლადაა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები. მხატვრის გვიანდელ ნამუშევრებში დომინირებს მდიდარი, თამამი ფერთა გამა. ნახატები მეტწილად შექმნილია ინტენსიური, მდიდარი წითელი, მწვანე და ყავისფერი ფერებით.

მიხეილ ხვიტიას შემოქმედება გარკვეული ლირიზმითა და რომანტიზმით გამოირჩევა. ბუნაბა მათში გრძნობებთან, ემოციებთანაა გადახლართული.

მიხეილ ხვიტიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლანდშაფტური ფერწერის განვითარებაში. მისი სურათები ყველასთვის ძვირფასია. მხატვრის ნამუშევართა თემები ზოგჯერ ლირიულია, ზოგჯერ - იდილიური ან რომანტიული, მაგრამ ყოველთვისაა მათში ორიგინალობა, სილამაზე და ჯადოსნური ფერები.

ჯილდოები: საქართველოს დამსახურებული მხატვარი

ინდივიდუალური გამოფენები:

თბილისის ეროვნული გალერეა, 1994

ჯგუფური გამოფენები:

1998, 1996, 1992 - "Vista Gallery" ატლანტა, ჯორჯია, აშშ

1994, 1949 - გამოფენები საქართველოს რესპუბლიკაში და საბჭოთა კავშირში

1991 - "Lagerquist Gallery", ატლანტა, ჯორჯია, აშშ

1989 - "Wolf's Auction Gallery" კლივლენდი, ოჰაიო, აშშ

მიხეილ ხვიტიას ნამუშევრები დაცულია: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თბილისის ეროვნულ გალერეაში, ქუთაისის მუზეუმში, აგრარულ მიღწევათა მუზეუმში (რუსეთი), კერძო კოლექციებში საქართველოში, რუსეთში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში.











Mikheil Khvitia (1924 - 1994) graduated from Tbilisi Art Academy (1942-1948) under the direction of Professor Alexandre Tsimakuridze, who is considered to be the first distinguished landscape artist.

Mikheil's collection of paintings is also dominated by landscapes of Georgia's nature at different times of the day, weather and seasons. He has visited every corner of the county of Georgia, clearly evident within his paintings The paintings of his home region Samegrelo are especially distinguished within his body of work.

Starting in 1949 through the conclusion of his life, Mikheil actively exhibited within his home country, as well as internationally. His works belong to the National Art Museum of Georgia, Museum of Eastern Arts in Moscow and other galleries. He is a part of the Georgian Encyclopedia (Part XI) and the Glossary of the Soviet Arts (printed in Moscow since 1965).

Eleven of Mikheil's oils on canvas created between 1950 and 1970 belong to the National Art Museum of Georgia. One of them is "Eucalyptuses" (1952) part of his earlier works with its delicate technique and translucent colors. Grey-green and lily color scheme is abundant in his early period works. The collection also includes landscapes from all corners of the country. His later works are dominated by rich and bold color and hue selection.

Several of his paintings are notable with such a description. Which are predominantly expressed through deep red, yellow, brown and greens. Mikheil's paintings portray certain lyricism and romanticism within. They express nature and the environment so intertwined with feeling and emotions.

Mikheil Khviria played an important role in development of the landscape painting. His paintings are dear to everyone. The subjects and motifs of his works are lyrical, sometimes idyllic, sometimes full of romance and always original, with different type of beauty and full of magic color.

Solo exhibition: 1994, Georgian National Gallery, Tbilisi.

Group exhibitions:

1998, 1996, 1992 - "Vista Gallery," Atlanta, State of Georgia, USA

1994, 1949 - Exhibitions in Republic of Georgia and Soviet Union

1991- "Lagerquist Gallery", Atlanta, State of Georgia, USA

1989 - "Wolf's Auction Gallery," Cleveland, Ohio State, USA

Works held at Georgian National Museum, National Gallery, Tbilisi.

Kutaisi Museum

Museum of Agricultural Achievements, Russia

Private collections - Georgia, Russia, Austria, Holland, Germany.











ბახსენება

MEMORY



# ჰამლეტ მოსულიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ჰამლეტ მოსულიშვილი - არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

არქიტექტორის შემოქმედებითი გზის სათავე 1954 წლიდან იწყება, როდესაც იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრებისთანავე, არქიტექტურული სპეციალობით, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ქ. ნალჩიკში იგზავნება განაწილებით.

ჰამლეტ მოსულიშვილი 1954-1957 წლებში, მუშაობდა ქ. ნალჩიკის საპროექტო ინსტიტუტში, ჯერ უფროს არქიტექტორად, ხოლო შემდგომ პროექტის მთავარ არქიტექტორად. 1957 წლიდან 1968 წლამდე იგი ქალაქ ნალჩიკის მთავარი არქიტექტორია. მისი ევოლუციური შემოქმედება წლების მანძილზე ახალი გამოცდილებებით მდიდრდებოდა და თანდათან მეტ ესთეტიკურ სრულყოფილებას იძენდა. ჰამლეტ მოსულიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალაქ ნალჩიკის კეთილმოწყობა-განაშენიანების საკითხების გადაწყვეტასა და განაშენიანება-განსახლების ნორმების გამოკვლევის სფეროში. ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში, დაევალა მას მეტად საპასუხისმგებლო, სერიოზული ობიექტების დაპროექტება-განხორციელება. ჰამლეტ მოსულიშვილი წარმატებით ართმევს თავს პირველ დამოუკიდებელ სამუშაოს. მისი პროექტით ქ. ნალჩიკის ცენტრალურ გამზირზე, 115 ბინიანი საცხოვრებელი მასივი შენდება. პროექტი ზედმიწევნით პასუხობს ქალაქგეგმარებით მოთხოვნებს.

1954-1957 წლებში, ქ. ნალჩიკის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, არქიტექტორი აპროექტებს და აშენებს რესტორან „ელბრუსს“, 800 ადგილზე და საზაფხულო თეატრს (მწვანე თეატრი) 3000 მაყურებელზე.

1957 წლიდან ჰამლეტ მოსულიშვილი ქ. ნალჩიკის მთავარი არქიტექტორია.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, ქ. ნალჩიკის ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა საქმის ზედმიწევნით ცოდნით, ტაქტიკურად ვითარდებოდა. ქალაქის გენგეგმაში, მისი რეალიზაციისას, ბატონი ჰამლეტის პრინციპული, მართებული გადაწყვეტილებებით, სასიკეთო ცვლილებები იქნა შეტანილი. წარმოუდგენლად გარდაიქმნა ქალაქის საკურორტო ზონა. დაპროექტდა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში მოღვაწეობის წლებში, ჰამლეტ მოსულიშვილის შემოქმედება აღინიშნება მთელი რიგი ობიექტებით. ქალაქ ნალჩიკში არქიტექტორის პროექტებით განხორციელებულია: ტბა „ტერეკის“ კომპლექსის დაგეგმარება-განაშენიანება, სანატორიუმი „ტერეკი“ 150 ადგილზე, კაფე „მოლოდიოჟნაია“ 400 ადგილზე, ქალაქის ცენტრალურ პარკში, სტადიონის „სპარტაკი“ რეკონსტრუქცია, ფანტანების ხეივანი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, კაფე „გრენადასა“ და ჰიდრომეტეო ქარხნის სასადილოს ინტერიერები, ქუჩა „რესპუბლიკურის“ განაშენიანება და სხვა.

შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, ჰამლეტ მოსულიშვილი ეწეოდა საზოგადოებრივ-სამეცნიერო საქმიანობას. 1959-1966 წლებში შეთავსებით მუშაობდა ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად. 1965 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი თეორიული კვლევის ძირითადი თემაა ქართული ხუროთმოძღვრება. ეს ფენომენი, არქიტექტორის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და შემდგომ უფრო ღრმად შესწავლის საგანი ხდება.

1967 წელს, არქიტექტორი ინიშნება ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სამმართველოს (სახმშენის) უფროსად.

შემოქმედებით, სამეცნიერო და საზოგადოებრივ სფეროებში მიღწეული წარმატებებისათვის იგი დაჯილდოვებულია: ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლით, ქ. ნალჩიკის მთავარი გამზირის განაშენიანებისათვის და სხვა ჯილდოებით.

1970 წელს მიენიჭა „ყაბარდო-ბალყარეთის დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდება. უნდა აღინიშნოს, რომ ჰამლეტ მოსულიშვილი 1954 წლიდან არქიტექტურის კავშირის წევრია.

1970 წლიდან ბატონი ჰამლეტის სამოღვაწეო ასპარეზი თბილისში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გრძელდება. იგი არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტია. პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად აგრძელებს თეორიულ კვლევებს ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედების შესახებ.

ჰამლეტ მოსულიშვილის მიერ ამ მიმართულებით ჩატარდა მიზანდასახული და სისტემატური კვლევები. იგი მოიცავდა ქართულ ხუროთმოძღვრებას მეოთხე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნის ჩათვლით. ბატონმა ჰამლეტმა ქართული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობა, მისი პროფესიული შემოქმედებითი გააზრების თვალსაზრისით გააშუქა.











1991 წელს, იგი იცავს სადოქტორო დისერტაციას. 1992 წლიდან გადაყვანილია პროფესორის თანამდებობაზე.

ჰამლეტ მოსულიშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია სხვადასხვა გამოცემებში. იგი მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო, ამიერკავკასიისა და საქართველოს სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

1993 წელს მეცნიერი არჩეული იქნა აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად და აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. წლების მანძილზე იყო არქიტექტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ჰამლეტ მოსულიშვილის ავტორობით გამოცემულია მონოგრაფიები: „ქართული ძეგლის სტრუქტურა“, „არქიტექტურული კიბერნეტიკის შესავალი“, „არქიტექტურული დაპროექტება და დიალოგი ეგმ-სთან“, „არქიტექტურული გრაფიკის საწყისები“, „არქიტექტურული ინფორმატიკა“, „არქიტექტურული გრაფიკისა და დაპროექტების საწყისები“, „არქიტექტურული ინფორმატიკა (ლექციების მოკლე კურსი)“, „ქართული არქიტექტურული ორნამენტი“, „პროპორციულობა არქიტექტურაში“ (ნაწილი I; ნაწილი II).

ჰამლეტ მოსულიშვილის ნაგებობანი ფორმა-სტრუქტურის ღრმა კვლევის შედეგია. შემოქმედი ხატოვნად განავრცობს თავის პრინციპებს, შემოქმედებით კრედოს პროექტირებაში. 80-90-იან წლებში, მისი პროექტებით ხორციელდება: კლუბი სოფელ ჩაქვში 200 ადგილზე, აგროქიმიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა თბილისში, ცხრასართულიანი კარკასულ-პანელური ბლოკ-სექციები და მის საფუძველზე აგებული, 168 ბინიანი, ცხრა სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები ქ. ბათუმში, ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრის კომპლექსი სოფელ ბოდბისხევში, სანატორიუმ „კოლხიდას“ საძილე კორპუსის რეკონსტრუქცია ქ. გაგრაში, საკონკურსო პროექტი - თბილისის სამების საკათედრო ტაძარი და სხვა.

მეგობრების, კოლეგების დახასიათებით, ბატონი ჰამლეტი გახლდათ თავმდაბალი, სალმიანი და კეთილმოსურნე ადამიანი, გამოირჩეოდა პრინციპულობით, იყო მომთხოვნი და ლოიალური კოლეგებისა და მოწაფეების მიმართ:

**გიგა ბათიაშვილი** - არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსი :

*- ჰამლეტი, სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა გავიცანი, იგი ინსტიტუტს ამთავრებდა. იმთავითვე თავდადებულ მეცნიერად გამოავლინა თავი. არქიტექტურის თეორიის სფეროში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მისი ერთ-ერთი თეორია - ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ნაგებობების სტრუქტურის ფორმირების კანონზომიერებები - მეტად ყურადსაღები და გასათვალისწინებელია მართმადიდებლური არქიტექტურის განხილვისას საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად.*

*თუკი ვინმემ შედეგიანად იარა პედაგოგიკის გზაზე - ეს ჰამლეტი იყო. იგი, არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი, კარგი პრაქტიკოსი, მკვლევარი, პედაგოგი და ერთ-ერთი პირველთაგანია, ხიდი, რომ გასდო ჩვენსა და აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტორებს შორის.*



**ვახტანგ დავითაია** - არქიტექტორი, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსი:

*- ჰამლეტი იყო კარგი პროფესიონალი, კარგი მეგობარი, სამართლიანი, მომთხოვნი და ჰქონდა მიტევების დიდი ნიჭი.*



**გიორგი სალუქვაძე** - საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი:

*- ბატონი ჰამლეტის განვლილი გზა, ნამოღვაწარი, მისი კაცობის საზომია. თავის დიდ და საინტერესოდ დატვირთულ ცხოვრების გზაზე, მან გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. ბატონი ჰამლეტი იღვწოდა სინდისისთვის, სამართლიანობისთვის და არა ჯილდოსთვის. სწორედ ამიტომ ჩვენს მეხსიერებაში იგი დარჩება, როგორც გამორჩეული, ამაგდარი, საპატივსაცემო პიროვნება. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული.*



ბატონ ჰამლეტ მოსულიშვილისთვის შემოქმედებაში საერთო ჰარმონიის მისაღწევად დასახული მიზნების განსახორციელებელ საშუალებას წარმოადგენდა მაღალი პროფესიონალიზმი, დისციპლინა, ლაკონიზმი, ყოველივეს კი საქმისადმი უშრეტი სიყვარული, უდიდესი შრომა და ოსტატობა ედო საფუძვლად.

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები***
***07. 11. 2011***









გამოფენა

EXHIBITION

# ბათუმის I სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა








28 ოქტომბერს ბათუმში, ყიფილი ყინულის სასახლეში ბათუმის I სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა. ეს იყო სამშენებლო მასალების, დანადგარების, სამშენებლო აღჭურვილობისა და არქიტექტურული ტექნოლოგიების, ასევე ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინის მნიშვნელოვანი გამოფენა საქართველოში. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, თურქეთის არაერთმა კომპანიამ. გამოფენაში მონაწილეობდა ასევე ბათუმის მერია, ბათუმისა და ფოთის პორტი, საქართველოსა და რეგიონის საინვესტიციო სამსახურები. თავიანთი პროდუქცია წარმოადგინეს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა კონსტრუქტორებმა, არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, დეკორატორებმა და დიზაინერებმა. გამოფენაში ჟურნალი „სტილიც“ მონაწილეობდა.

მთლიანობაში 70-მდე კომპანია იქნა წარმოდგენილი. გარდა გამოფენისა, ღონისძიება უზრუნველყოფდა ამ სფეროში დაგროვილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და გამოცდილების გაზიარებას. სწორედ ამ მიზნით, გაიმართა შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს კვალიფიციურმა ექსპერტებმა სხვადასხვა თემატური დისკუსიების ირგვლივ. გამოფენის გახსნას დაესწრო აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ბატონი ლევან ვარშალომიძე. სამშენებლო და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა სამ დღეს გაგრძელდა. იგი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა.

საერთაშორისო სამშენებლო და დიზაინის გამოფენა შემდგომში ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და გაიმართება ყოველწლიურად.








# Batumi International Building and Design Fair - 2011

1st Batumi International Building and Design Fair was launched in the former Batumi Ice Palace on October 28 2011. Batumi International Building and Design Fair 2011 was an important national exhibition representing building materials, machinery, equipment, architectural technologies and interior and exterior design samples. According to Ajara Tourism Department, the event attracted participant companies from Georgia, Armenia, Azerbaijan, Iran and Turkey. The exhibition was joined by Batumi City Hall, Batumi and Poti Ports, national and regional investment agencies, constructors, architects, engineers, decorators and designers from different countries. STYLE Magazine also took part in the exhibition.

by the Chairman of A.R. of Ajara Government. Levan varshalomidze together with the members of the Government visited different companies' corners getting introduced with represented materials.

In total, quantity of participant companies reached 70. Apart from the exhibition of construction and design products, Batumi International Building and Design Fair supported sharing of information and experience. Format of the event included meetings and thematic discussions with participation of qualified experts. The exhibition launch was attended by chairman of Ajarian Government Levan Varshalomidze.

For the future, regional authorities intend to host Building and Design Fairs on an annual basis.

106,9 FM
FORTUNA

რადიო "ფორტუნა"
ოქროს სტანდარტი FM-ზე

# ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების

## მე-3 საერთაშორისო გამოფენა




თბილისი, საქართველო / TBILISI, GEORGIA

ორგანიზატორი / Organized by:
ExpoGeorgia Co.

118 A. Tsereteli Ave.
Tel: +(995 32) 2341100
Fax: +(995 32) 2351100
tavadze@expogeorgia.ge